საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N49

ბათუმი 20 დეკემბერი 2021 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 19-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 149-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებები თანახმად N1-13 დანართებისა.

2. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2018 წლის 29 მარტის ბრძანება N22 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის დებულების დამტკიცების შესახებ";

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 02 მარტის ბრძანება N10 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტის დებულების დამტკიცებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ";

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N73 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ";

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N69 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ";

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N70 ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ";

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N71 ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ";

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება N04 ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ";

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2014 წლის 16 მაისის ბრძანება N24 ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ";

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 22 თებერვლის ბრძანება N06 ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარული და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ";

კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2014 წლის 16 ივნისის ბრძანება N32 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს დებულების დამტკიცების შესახებ".

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ბრძანება განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

4. ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტმა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე